# საქართველო
## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
## უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37


06/07/2022
N 09-02-16/430

430-09-02-16-2-202207061247

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების**
**სამმართველოს უფროსს ბატონ ჯემალ ნაკაშიძეს**

**სადეპუტატო კითხვა**

ჩემს სადეპუტატო კითხვაზე (20.06.2022წ, #09-02-16/368), რომელიც შეეხებოდა ნავთობით ჰაერის დაბინძურებას, თქვენი 2022 წლის პირველი ივლისის #08/368 წერილით მიპასუხეთ, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა თქვენს კომპეტენციაში არ შედის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ გვაცნობოთ:

1. დღეის მდგომარეობით მოქმედი პროგრამა ,,ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი“ ითვალისწინებს თუ არა ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მაჩვენებლების მდგომარეობის კვლევას/შესწავლას, შეფასებას და რეაგირებას;
2. მიმდინარე წლის განმავლობაში როდის განხორციელდა პროგრამით გათვალისწინებული, ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი, თარიღების მითითებით და რა დარღვევები გამოვლინდა, ასევე რა რეაგირება მოახდინეთ? გთხოვთ მოგვაწოდოთ მონიტორინგის შედეგებისა და რეაგირების დოკუმენტების ასლები;
3. პროგრამით გათვალისწინებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევებისას, ვალდებული ხართ თუ არა ინფორმაცია მიაწოდოთ მოსახლეობას შესაძლო რისკებთან დაკავშირებით და რა ფორმით განახორციელეთ რეაგირება ამ მიმართულებით?
4. ატმოსფერული ჰაერის დაბიძურების შესახებ, ჩემი სადეპუტატო კითხვის მიღების შემდეგ რა რეაგირება მოახდინეთ შესაძლო დარღვევებზე რეაგირებისათვის?

პატივისცემით,

გია აბულაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები